ფედერაციის თასზე

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების VI ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ერევნის „არარატი".

თამაში თავიდანვე მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს, ორივე გუნდი მოქმედებდა სწრაფად, ტემპიანად, სახიფათო მომენტები მრავლად შეიქმნა როგორც სტუმართა, ისე მასპინძელთა კართან.

პირველ წარმატებას დინამოელებმა მიაღწიეს, გოლი მე-16 წუთზე გაიტანა აჯოევმა _ 1:0. ხუთიოდე წუთის შემდეგ გალუსტიანმა ანგარიში გაათანაბრა და თითქმის მაშინვე პოღოსიანმა დააწინაურა „არარატი" _ 2:1.

საპასუხო ბურთის გატანას თბილისელები საკმაო ხანს მოუნდნენ და მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლო შენგელიამ აჯოევის კარგი გადაცემის გამოყენება _ 2:2.

ეს ანგარიში მატჩის დასასრულამდე არ შეცვლილა.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „დინამო" _ გაბელია, ფირცხალავა, კუდინოვი (ჩხაიძე, 60), თეთრაძე, არზიანი, რევიშვილი, აჯოევი, გუბაზი (მიქაშავიძე, 77), კორღალიძე (ფანცულაია, 27), გურული, შენგელია; „არარატი" _ ანტონიანი, ვ. ხაჩატრიანი, რ. გალსტიანი, კამალიანი, ოჰანესიანი, ენგიბარიანი, მარკოსიანი (მ. ტონოიანი, 82), პ. გალსტიანი, მხითარიანი. მსაჯი ვ. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).

ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „გურია" და ბაქოს „ნეფთჩი". მატჩის შედეგია - 1:1.

"ლელო", 28 სექტემბერი, 1987 წ.